N 6
22/06/2020

6-07-4-202006221413

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №6

ქ. ლანჩხუთი 15. 06. 2020 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეების“ თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე გიორგი მორჩილაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი მაგული კუნჭულია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების

შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი მაგული კუნჭულია/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

/მომხსენებელი ლევან ჩხაიძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

5. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 26 ივნისი, 11:00 საათი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებიამ. მისი განმარტებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება (ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქ. N126-ში მდებარე, ყოფილი სასტუმრო შენობის მეორე სართულის N104 ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.104); N105 ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.105); N106 ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.106); N107 ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.107); N108 ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.108); N109 ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.109); N113 ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.113); N114 ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.114); N115 ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.115)) ამოღებულ იქნეს როგორც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან, ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმიდან, ვინაიდან იგეგმება აღნიშნული ქონების ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ი“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს წარუდგენს დასამტკიცებლად მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტს განსახილველად და დასამტკიცებლად.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცითტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3) პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 26 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური უფროსი გიორგი ნაჭყებია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსმა მაგული კუნჭულიამ. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge ვებგვერდი, 27/12/2017; სარეგისტრაციო კოდი 010206002.35.112.016319) უნდა შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 14. მერის წარმომადგენელი:

1. მერის წარმომადგენელი არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი . 2. მერის წარმომადგენელი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში.

3. მერის წარმომადგენელზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს მერი.

4. მერის წარმომადგენელი: ა) მერს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ; ბ) მერის დავალებით უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას; გ) უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების

მოსახლეობისათვის გაცნობას; დ) მერის დავალებით ორგანიზებას უწევს დასახლებაში მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარებას; ე) მერს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ; ვ) „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს აწვდის ყველა საჭირო ინფორმაციას, ამავე კანონით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის მიზნით; 2 ზ) „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ვადების დაცვით მუნიციპალიტეტის მერის მიერ განსაზღვრულ ცნობების გაცემაზე უფლებამოსილ პირს აწვდის ინფორმაციას: ზ.ა) დაბადების რეგისტრაციის არსებობის ან სამედიცინო დაწესებულების გარეთ დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობის გაცემის უფლებამოსილების მქონე პირის დახმარების გარეშე ბავშვის დაბადების თაობაზე; ზ.ბ) პირის გარდაცვალების თაობაზე. თ) მუნიციპალიტეტის მერის მიერ განსაზღვრულ ცნობების გაცემაზე უფლებამოსილ პირს ხელს უწყობს ტექნიკური და მეთოდური დახმარების გაწევით შემდეგი ცნობებისა და ოქმების მოსამზადებლად: თ.ა) „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილების მე-8 მუხლის შესაბამისად ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის შესახებ; თ.ბ) საქონლის ადგილწარმოშობის შესახებ; თ.გ) პირის/პირების კონკრეტულ მისამართზე ცხოვრების ფაქტის დადასტურების (გარდა მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით) შესახებ; თ.დ) „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანების 85-ე მუხლის შესაბამისად, მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის ან სარგებლობის შესახებ; ი) მერის წარმომადგენელი პასუხისმგებელია მის მიერ მოწვდილ ყველა სახის ინფორმაციის სისწორეზე; კ) მერის დავალებით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

5. მერის წარმომადგენელი ანგარიშვალდებულია მერის წინაშე.“

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 26 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი რანგის პირველადისტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი) მაგული კუნჭულია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში სხდომას გააცნო მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ლევან ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი განყოფილების მიერ 2019 წლის განმავლობაში გაცემულია მშენებლობის 35 ნებართვა, შეთანხმდა 52 პროექტი, ექსპლუატაციაში აყვანილ იქნა 8 ობიექტი. ამავე განყოფილებიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მოსაკრებლის სახით შემოვიდა 21 479,5 ლარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური ასევე აწარმოებს მოსახლეობიდან შემოსული თხოვნა-განცხადებების აღრიცხვას, კონტროლსა და მათზე რეაგირების საქმეს. 2019 წლის განმავლობაში აღნიშნულ სამსახურში მოსახლეობიდან შემოვიდა 435 განცხადება, რომელთაგან მომზადდა 435 დასკვნა და წერილი. აღნიშნული სამუშაოების გარდა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური კონტროლს უწევს მუნიციპალიტეტში მიმდინარე მშენებლობებს მათი ხარისხიანად შესრულების მიზნით.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განხორციელებული ფონდიდან“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 4 595 025 ლარი. 4 534 445 ლარი ცენტრალური ბიუჯეტიდან. განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებისათვის. მათ შორის: შიდა მიმოსვლის გზების რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 2 მლნ. 350 600 ლარი.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე.

2018 წელს დაიწყო და მიმდინარე წლისთვის დასრულდა ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 2019 წელს დაიხარჯა 295 600 ლარი; ქალაქ ლანჩხუთის 12 ქუჩაზე მოეწყო რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხი - 887 755 ლარი; მამათის, ჩიბათის, მაჩხვარეთის, აკეთის, აცანის, შუხუთის, ღრმაღელის, გვიმბალაურის, ჩოჩხათისა და ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოეწყო რკინა-ბეტონის არხები, რკინა-ბეტონის გზები, დაიგო შავი საფარი - საერთო თანხით 917 438 ლარი. 110 268 ლარით შეკეთდა ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი. მიმდინარეობს გვიმბალაურის, ღრმაღელის, სუფსისა და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიმდინარეობს წყალმომარაგების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია. სამუშაოების ღირებულებაა 1 მლნ. 101 329 ლარია.

ქალაქ ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩაზე მდებარე მინი საფეხბურთო სტადიონს უტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ღირებულებაა 147 483 ლარი; სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა თავისუფლებისა და ჭანტურიას ქუჩების

კვეთაზე არსებულ სტადიონს, თანხით - 102 130 ლარი. სოფელ გვიმბალაურში რეგიონში ერთადერთი ბავშვთა საფეხბურთო აკადემია შენდება. - საერთო თანხით 1 მლნ. 022 599 ლარი. მიმდინარე წელს ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდა გვიმბალაურში არსებულ საჭიდაო დარბაზის სახურავს - 42 237 ლარი.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა ოთხი სოფლის ამბულატორიას: სოფელ შუხუთში - 21 765 ლარი; სოფელ აცანაში - 22 000 ლარი; სოფელ აკეთში - 20 400 ლარი; სოფელ ნიგოითში - 27 800 ლარი; ხოლო სოფელ სუფსაში აშენდა ახალი ამბულატორია - რისთვისაც 83 000 ლარი დაიხარჯა.

საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად მუნიციპალიიტეტს გამოეყო 520 000 ლარი. სველი წერტილები მოეწყო მუნიციპალიტეტის შვიდ საჯარო სკოლაში: ქალაქის #1 და ჯურუყვეთის #1 საჯარო სკოლებში - პროექტის ღირებულება 136 220 ლარია; სოფელ სუფსის საჯარო სკოლის დაწყებით და მთავარ კორპუსზე - თანხით 111 000 ლარი; ტაბანათის, ჩოლობარგისა და ხიდმაღალას საჯარო სკოლებში - 138 892 ლარი. ამას გარდა, დასრულდა ქალაქის #1 საჯარო სკოლის ეზოს კეთილმოწყობა. სამუშოებმა 89 966 ლარი შეადგინა.

სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 748 000 ლარი. ამ თანხით მუნიციპალიტეტის 54-ვე სოფელში განხორციელდა სხვადასხვა სახის პროექტი: გარე განათება, შიდა გზების მოწესრიგება, სასაფლაოების შეღობვა, სოფლის კლუბის რეაბილიტაცია, წყალმომარაგების ქსელის მოწყობა და ა.შ.

სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციოდ განხორციელდა სხვადასხვა პროექტები. მათ შორის: 2019 წლის ბოლოს დაიწყო ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაცია- საერთო ღირებულებით 1 მლნ. 985 030 ლარი. შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში: 1. მაჩხვარეთი (ორი ხიდი) - ღირებულებით 1 მლნ. 277 238 ლარი; 2. ნიგვზიანი (ორი ხიდი) - ღირებულებით 288 603 ლარი; 3. ჩოჩხათი (სამი ხიდი) - ღირებულებით 419 189 ლარი. ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციულ შენობას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები - 88 000 ლარი; მუნიციპალიტეტის 16 ადმინისტრაციულ ერთეულში ჩაუტარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები, საერთო ღირებულებით 1 მლნ. 500 000 ლარი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძე** დაინტერესდა, რა დრო დასჭირდება სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი 1 მლნ. 500 000 ლარის ათვისებას და რა რაოდენობის თანხაა საჭირო შიდა გზების და სანიაღვრე არხების მოსაწესრიგებლად.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოები ამ ეტაპზეც მიმდინარეობს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ათ კილომეტრიანი გზის მოსაწესრიგებლად მინიმუმ 50000 ლარია საჭირო, ხოლო ქალაქის შიდა გზების სრულად მოწესრიგებას ბევრად უფრო მეტი თანხა დასჭირდება, რასაც ადგილობრივი ბიუჯეტი ვერ გაწვდება.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **ვერიკო კვირკველია** დანტერესდა, არის თუ არა ამ ეტაპზე შესაძლებელი ასფალტის საფარი დაიგოს იმ გზებზე, სადაც სანიაღვრე არხები უკვე გაკეთებულია და რა ტიპის სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ მაჩხვარეთის სტადიონზე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ გასულ წელს 750 000 000 ლარი, რომლითაც უნდა განხორციელებულიყო ინფრასტრუქტურული პროექტები, ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტიდან გადატანილი იქნა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტში (სოციალურ პროგრამებში), რის გამოც ვერ მოხერხდა ყველა პროექტის დასრულება.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ სოფელ მაჩხვარეთში სტადიონს აკეთებს კერძო პირი, რომელმაც დააზიანა მინდვრის საფარი და საჭიროებს ყურადღებას.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ** აღნიშნა, რომ ჟორდანიას ქუჩაზე ჭადრების მოჭრასთან დაკავშირებით მიმდინარე სამუშაოების გამო შემოვლით გზად გამოიყენება გვარჯლაძისა და ჭავჭავაძის ქუჩები. დატვირთვის შედეგად, აღნიშნულ ქუჩებზე ისედაც დაზიანებული ცხაურები სრულიად გამოვიდა მწყობრიდან, სანიაღვრე არხები წყალს ვერ ატარებს, გუბდება და დგას უსიამოვნო სუნი. მისი თქმით ორივე ქუჩაზე ახალი ცხაურები და სანიაღვრე არხებია გასაკეთებელი. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ადგილობრივი მოსახლეობა, პრობლემის მოსაგვარებლად ითხოვს დახმარებას.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ ცხაურები ჩაჩავას და გვარჯალაძის ქუჩებზე დააზიანა მძიმე წონიანმა მანქანებმა, ხოლო რაც შეეხება სანიაღვრე არხების გაუმტარობას, საჭიროა გაიწმინდოს, ხოლო ერთი მონაკვეთი ადგილობრივი მცხოვრების დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე არასწორად იქნა დაპროექტებული.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ბესიკ კუპრაძემ** უკმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტით, რომ სოფელ ღრმაღელეში წყალმომარაგების სისტემის სათავე ნაგებობიდან წყალი იღვრება და მილებში სრული დატვირთვით არ მიედინება, ამის გამო მოსახლეობის დიდ ნაწილს წყალი ვერ მიეწოდება.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ სოფელ ღრმაღელეში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტი ჯერ არ დასრულებულა და მიმდინარეობს სამუშაოები აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეების“ თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ სოფელ ქვიანის მოსახლეობა დაინტერესებულია როდის გაკეთდება ჯიხეთის დედათა მონასტერში მიმავალი გზის დაზიანებული მონაკვეთი. მან ასევე გამოთქვა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ მუნიციპალიტეტში დასრულებული საპროექტო სამუშაოების უმრავლესობა არასრულფასოვნად არის გაკეთებული და ფაქტიურად ეს სამუშაოები ხელახლა ჩასატარებელია.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ ასფალტის საფარი დაზიანებულია არასწორი ექსპლოატაციის გამო, კერძოდ, აღნიშნული გზის მონაკვეთზე არ უნდა გადაადგილებულიყო 60 ტონიანი ავტომობილები. მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ

მომზადდა მიმართვა, მერიის იურიდიული სამსახურიდან გაიგზავნა წერილი შემსრულებელ კომპანიასთან და ელოდებიან რეაგირებას პრობლემის მოსაგვარებლად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ თუ შემსრულებელი არასრულფასოვნად ან ხარვეზებით შეასრულებს სამუშაოს და მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიმართვის ან მერიის იურიდიული სამსახურის წერილის საფუძველზე არ აღმოფხვრის ხარვეზს, საქმე აუცილებლად გადაეცემა სასამართლოს შემდგომი რეაგირებისათვის.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებიამ. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა მოქალაქეებმა: ლია კუპრაძემ (პ/ნ 26001028145) და ნანა ურუშაძე-ძიმისტარიშვილმა (პ/ნ 61001021917), რომლებმაც ითხოვეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ სუფსის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული N2 -14.08 კვ.მ. და N5 -18.5 კვ.მ. ფართების ((ს/კ 27.15.52.294) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა, რომ ზემოაღნიშნული უძრავი ქონება განმცხადებლებს გადაეცეთ 5 წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით. გადაწყვეტილების მიღება განპირობებულია, კორონა ვირუსის (Covid-19) პანდემიის პროტოკოლით დადგენილი წესების განსახორციელებლად, ????? პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცითტერიტორიული დაგეგმარებისა და

ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3) პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 26 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური უფროსი გიორგი ნაჭყებია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე **ბესიკ კუპრაძე** დაინტერესდა, შესაძლებელია თუ არა სასოფლო-სამეურნეო ბარათების გაცემის პროცედურების გამარტივება, რადგან მოსახლეობის უმრავლესობა ვერ ახერხებს ამ პროგრამით სარგებლობას გართულებული პროცედურების გამო. იგი ასევე დაინტერესდა, თუ რა პროცედურებია საჭირო კერძო სასტუმროებისთვის დეზინფექციის ჩასატარებლად.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ის არაერთხელ ესაუბრა სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის უფროსს და აუხსნა, რომ პროცედურების სირთულის გამო მოსახლეობის უმრავლესობა ვერ ახერხებს ამ პროგრამით სარგებლობას, რაც მადლიერების ნაცვლად იწვევს მათ უკმაყოფილებას და სთხოვა დახმარება, მაგრამ ჯერ-ჯერობით უშედეგოდ. ამ პროცედურებს განსაკუთრებით ართულებს ის, რომ მოსახლეობის უმრავლესობას ნაკვეთები აქვთ თანამესაკუთრეობაში და სოფლებიდან ოჯახის ყველა წევრი ვერ ახერხებს ჩამოსვლას რათა გაიარონ რეგისტრაცია.

მუნიციპალიტეტის მერმა ასევე განმარტა, რომ კერძო სასტუმროების მფლობელებმა დეზინფექციის ჩატარების მიზნით უნდა მიმართონ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს და ხელშეკრულების საფუძველზე მოახდენენ მათ დეზინფიცირებას.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვირკველიამ** აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ განხორციელდა ,,ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის N10 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზა, რა დროსაც გამოვლინდა ხარვეზი. იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი შენიშვნების გათვალისწინებით და რეაგირებისათვის გადაუგზავნა მერიის შესაბამის სამსახურს, მაგრამ აღნიშნული აქტის პროექტი შენიშვნების გათვალისწინებით ჯერ არ წარმოდგენილა.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვირკველიამ** დაავალა მუნიციპალიტეტის მერს წარმოადგინოს ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის N10 დადგენილების ახალი პროექტი კანონმდებლობის შესაბამისად.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო